დანართი №4

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

7 აპრილი, 2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნეს ანალიტიკა Business Analytics
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 Management and Administration
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 9 25 0000122246 (2025 წლის 7

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		თებერვალი)
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 13 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2026 წლის 24 იანვარი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 24 იანვარი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა (1.2);
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით (2.3);
3. რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები (2.3);
4. რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით (4.5);
5. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს (5.1);
6. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით (5.3);
7. რეკომენდებულია, "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან პროგრამაში დაზუსტდეს ორი პროგრამის მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ (1.2);
8. რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4);
9. რეკომენდებულია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას (5.2)
10. რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად (1.4);
11. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბაკალავრო პროექტი/ ნაშრომი -ის სილაბუსი, დასახელება და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში (1.5).

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შესაფასებელი პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს N122246 (2025 წლის 7 თებერვალი) გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ღონისძიებების დაგეგმვაში, აქტივობებში და პროგრამული ცვლილებების განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი და ამავე სამსახურის წევრები, სკოლის მენეჯერი, სკოლის ასისტენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი და პროგრამის სტუდენტები.

ანგარიში წარმოდგენილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადების დაცვით.

წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ **ყველა რეკომენდაცია შესრულდა.**

ანაგრიშის მიხედვით, ბიზნეს ანალიტიკის 4 წლიან საბაკალავრო პროგრამას ძირითად საგნად დაემატა - ახალი კურსი - KART1515 სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი (6 ECTS კრედიტი).

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, პროგრამის მახასიათებლებში ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ფორმატის თანმიმდევრული მიდგომა;
2. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის შეფასების მექანიზმი რეალურ დროში უკუკავშირის ციკლების დამატებით და ინდუსტრიის ტენდენციებზე უფრო პროაქტიული ადაპტირებით;
3. სასურველია, გაფართოვდეს პირდაპირი შეფასებები პრაქტიკული გამოყენებით და ინდუსტრიის ჩართულობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგების რელევანტურობა და შესაბამისობა;
4. სასურველია, განავითაროთ პროგრამები უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის თვალსაზრისით;
5. სასურველია, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება შრომის ბაზრის დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდეს შრომის ბაზრის დამსაქმებლებისგან და მოწვეული პერსონალისგან რეკომენდაციების აქტიურად მიღება;

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

6. სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა საერთაშორისო დაწესებულებებთან, ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ ყველა პროგრამა სარგებლობდეს აკადემიური პერსონალის გლობალური სტანდარტების, ინოვაციური სწავლების პრაქტიკის და მათი დისციპლინებისთვის შესაბამისი თანამედროვე ინდუსტრიული ტენდენციებით;
7. სასურველია, რეგულარულად ჩატარდეს ინტერდისციპლინური სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის აკადემიური პერსონალი, აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნის გაზიარებას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას და აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სწავლების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივების გამოყენებაში ;
8. სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.
9. სასურველია, დადგინდეს როგორ მოხდება კურსდამთავრებულების მომზადება ქართული ენის გარდა სხვა უცხო ენაზე საერთაშორისო დონეზე სწავლისათვის და მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების გათვალისწინების შესახებ ინსტიტუციას ინფორმაცია არ აქვს წარმოდგენილი ანგარიშში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა;
შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგები ხაზს უსვამს მონაცემთა შესწავლას, ანალიტიკურ უნარებს და ბიზნეს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას. სასწავლო გეგმის რუკა შედგენილია კომპეტენციების შესავლის, გაღრმავების და განმტკიცების დონეების გასაძლიერებლად. ინსტიტუციამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენის სახელმძღვანელო, რომელშიც განსაზღვრულია ამ მექანიზმის შემდეგი ეტაპების განმარტებები: დოკუმენტის მიზანი, სწავლის შედეგების რუკის მიზანი, რუკის ფუნქცია, ტერმინოლოგიის არჩევანი, რუკის სტრუქტურა, დონეების განსაზღვრის კრიტერიუმები, რუკის შევსების პროცესი, ხარისხის შემოწმება და ვალიდაცია, რუკის განახლება. ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პლატფორმა, სადაც პირდაპირი შეფასების მეთოდებით ზუსტად იზომება საგამოცდო საკითხების შესაბამისად როგორც სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება • რუკების შედგენის სახელმძღვანელო

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სწავლა-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია II[15]	რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით;

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	სწავლება-სწავლის პრაქტიკული მეთოდების გამრავალფეროვნებისთვის, კონკრეტული მაგალითის მეთოდთან ერთად პროგრამით შემოთავაზებულია პრაქტიკაზე დაფუძნებული პრობლემის კვლევის მეთოდი, ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია და მომხმარებლების გამოცდილების კვლევა (UX). ასევე, ძირითად კომპონენტებშია პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში. პროგრამის მეთოდთა ნაკრებში განსაზღვრულია პროექტზე დაფუძნებული სწავლება და გუნდური მუშაობის მეთოდები. ასევე, პროგრამა სთავაზობს პრაქტიკას/სტაჟირებას არჩევითი სასწავლო კომპონენტის სახით. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები - BUAN3040 მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია, BUAN1020 მომხმარებლის გამოცდილების კვლევა (UX), BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III[16]	რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები;
შეფასება	პროგრამაში და იმ სილაბუსებში, რომელიც ანგარიშს ახლავს, წარმოდგენილია სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ჩამონათვალი. • ლექცია-სემინარები • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • დემონსტრირების მეთოდი • ინტერაქტიული • ლექციები • დისკუსია/დებატები • გუნდური მუშაობა

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	• შემთხვევის შესწავლა და ანალიზი კრიტიკული აზროვნება • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება • პროექტებზე დაფუძნებული სწავლება • ლიტერატურის მიმოხილვა • წერითი მუშაობის მეთოდი • სამუშაო პროცესის სიმულაცია • პრაქტიკული მეცადინეობები • ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია • კრიტიკული აზროვნება • დროის მენეჯმენტი. იმის მიუხედავად, რომ პროგრამაში მეთოდების და აქტივობების განმარტებები არ არის წარმოდგენილი, ჩამონათვალი უკავშირდება ელექტრონულად გადასვლას სწავლის მეთოდების სახელმძღვანელოზე, სადაც სრულყოფილად არის ეს ინფორმაცია წარმოდგენილი. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი არის საგანამანათლებლო პროგრამის დანართი და შესაბამისად, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • სწავლის მეთოდების სახელმძღვანელო

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია IV[17]	რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით;
შეფასება	ინსტიტუციამ წარმოადგინა საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი N 02/26, თარიღი: 16/01/2026, სადაც განსახილველ საკითხად წარმოდგენილია პროგრამის დანახარჯების ჩაშლის

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	განახლებული მიდგომის განხილვა (აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე). სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია პროგრამის ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში დანახარჯების ჩაშლის განახლებული მიდგომის შესახებ, რომელიც შემუშავდა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით. წარმოდგენილ იქნა ხარჯების დაჯგუფების ახალი სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება ფუნქციურ კატეგორიებს და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსური ინფორმაციის მკაფიო და თანმიმდევრულ წარმოდგენას. გადაწყვეტილების მიხედვით. განახლებული მიდგომა გამოყენებულია პროგრამის ფინანსური დაგეგმვისა და თვითშეფასების (Self-Evaluation) პროცესში. პროგრამის ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში დანახარჯები დაჯგუფებულია შემდეგ ძირითად კატეგორიებად: 1. პერსონალის ხარჯები (**Personnel costs**)– აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები 2. სტუდენტური მხარდაჭერა (**Student support**)– სტიპენდიები, შეღავათები და სტუდენტთა მხარდაჭერის სხვა ფორმები 3. მარკეტინგი და სტუდენტთა მოზიდვა (**Marketing and recruitment**)– პროგრამის ცნობადობისა და სტუდენტთა მოზიდვის ხარჯები 4. ოფისისა და ადმინისტრაციული ხარჯები (**Office and administrative expenses**) – ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 5. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება (**Faculty and staff development**) – პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები 6. სასწავლო რესურსები და მასალები (**Learning resources and materials**) – სასწავლო რესურსები და ციფრული ინსტრუმენტები 7. პრაქტიკული და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების კომპონენტები (**Practical and experiential learning components**) – პრაქტიკაზე და პროექტებზე დაფუძნებული

	სწავლების ხარჯები 8. კვლევითი საქმიანობა (არასახელფასო ხარჯები) **Research and studies (non-salary)** – კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ხარჯები 9. პუბლიკაციები და კონფერენციები (**Publications and conferences**) – აკადემიური შედეგების გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯები 10. ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია (**Quality assurance and accreditation)** – ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები 11. CSR and community engagement (**CSR and community engagement)** – პროგრამის საზოგადოებრივ ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს სხდომის ოქმის დანართი 1 - პროგრამის დანახარჯების ჩაშლის სტრუქტურა

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია V[18]	რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს;
შეფასება	პროგრამების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამას კოლეგიალურად აფასებს პროგრამის განვითარების საბჭო. ამ მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებს. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ მაინც, არაპირდაპირი

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მექანიზმებით კი 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის საბჭო არის დამოუკიდებელი საბჭო და სტრუქტურული ერთეული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის მოდიფიცირების ან განვითარების შესახებ. პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს წევრები არიან: ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფა, განსახილველი პროგრამის ხელმძღვანელი. თუ საბჭო თვლის, რომ პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები და სჭირდება სპეციალური ცოდნა პროგრამის დასახვეწად, მათ შეუძლიათ მოიწვიონ ექსპერტები. ეს ექსპერტები შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის შიგნიდან ან გარედან. უნივერსიტეტს აქვს მეთოდური რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. ეს მეთოდური რეკომენდაციები მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ისინი ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტების სწავლების დაგეგმვასა და მართვაზე. ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული. პროგრამის განვითარების პროცესი ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის დებულების შესაბამისად. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VI[19]	რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით;
შეფასება	უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასებაზე პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების საბჭო. გარე შეფასება მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და გამოხმაურებას აკრედიტაციის ან შუალედური ანგარიშებიდან. პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამის განვითარების დამსაქმებლის უშუალო ჩართულობის გარდა, ხდება შრომის ბაზრის და ზოგადად დამსაქმებლების კვლევა არაპირდაპირი შეფასების საშუალებითაც, კერძოდ, დამსაქმებლის კითხვარის მეშვეობით. დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ხარისხის მექანიზმების საშუალებით. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე ტარდება მათი კმაყოფილების კლვევა სასწავლო კურსის თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით. პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი ინიცირდება ცვლილებების დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში . ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, პირდაპირი ხარისხის შეფასება გულისხმობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევების გაზომვას და ანალიზს უშუალოდ მათ მიერ გავლილი კურსების ან განხორციელებული კვლევითი თუ პრაქტიკული კომპონენტების შედეგების ანალიზის გზით. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამის დებულება • დამტკიცებული კითხვარები

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია VII[20]	რეკომენდებულია, "ბიზნეს ანალიტიკის" ქართულ ენოვან პროგრამაში დაზუსტდეს ორი პროგრამის მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი,

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ;
შეფასება	ანგარიშის მიხედვით, ,,ბიზნეს ანალიტიკის" ქართული და ინგლიუსრენოვანი პროგრამის მახასიათებლები, სტატუსი და ურთიერთკავშირი დარედაქტირდა. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია VIII[21]	რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი;
შეფასება	სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს გადის მხოლოდ დამამთავრებელ სემესტრში, რაც ნიშნავს, რომ მას გავლილი უნდა ჰქონდეს 210 კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებია შემდეგი საგნები: BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი; BUAN1025 ბიზნეს მოთხოვნების ანალიზი და მართვა; BUAN2010 ფუნქციური ანალიზი: მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ამ საგნების გავლით სრულდება პროგრამით ყველა სავალდებულო კურსის შეთავაზება . **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსი - BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი; BUAN1025 ბიზნეს მოთხოვნების ანალიზი და მართვა; BUAN2010 ფუნქციური ანალიზი: მეთოდები და

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ინსტრუმენტები; BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში • საბაკალავრო სწავლების დებულება

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდებულია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას;
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ პირდაპირი და არაპირაპირი შეფასების მექანიზმების საფუძველზე. პროგრამა ამოქმედდა 2023 წელს და შესაბამისად, 2025-2026 წლისთვის უნივერსიტეტი გეგმავს გარე შეფასების განხორციელებას. ამასთან, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბიზნეს-ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის პროცესში აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების შესწულების ანგარიში, რაც მოწმობს, რომ გარე შეფასების აღნიშნულ კომპონენტს ინსტიტუცია პასუხისმგებლობით ეკიდება. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • საგანამანათლებლო პროგრამის დებულება

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IX [23]	რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად;
შეფასება	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურსს შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო კომპონენტი. კურსი 6 კრედიტიანია და შეთავაზება ხდება მე-5-ე სემესტრში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია X [24]	რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბაკალავრო პროექტი/ ნაშრომის სილაბუსი, დასახელება და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
შეფასება	ანგარიშს ახლავს ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით განახლებული საბაკალავრო პროექტი/ ნაშრომის სილაბუსი . **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში • ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა • BUAN4030 საბაკალავრო პროექტი/ნაშრომი ბიზნეს ანალიტიკაში

ექსპერტის ხელმოწერა

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)